განმარტებითი ბარათი

საქართველოსა და ჩეხეთის რესპუბლიკას შორის საიდუმლო ინფორმაციის გაცვლისა და ორმხრივად დაცვის შესახებ შეთანხმების პროექტზე

ჩეხეთის რესპუბლიკასთან მჭიდრო ურთიერთობებისა და თანამშრომლობის დამყარების გზაზე წარმოიშვა აუცილებლობა, რომ მხარეთა შორის განხორციელებულიყო საიდუმლო ინფორმაციის გაცვლა, რაც ხელს უწყობს ორ ქვეყანას შორის მეგობრული ურთიერთობების გაღრმავებას.

ამასთან ჩეხეთის, როგორც ნატოსა და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს გამოცდილების გაზიარება სხვადასხვა სფეროში მნიშვნელოვნად ხელს შეუწყობს საქართველოს ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაციას. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ ასპექტში თანამშრომლობა ხშირად დაკავშირებულია საიდუმლო ინფორმაციის გაცვლასა და დაცვასთან, ხოლო ორ ქვეყანას შორის საიდუმლო ინფორმაციის გაცვლის შესახებ ხელშეკრულების არარსებობა გარკვეულწილად ხელს უშლიდა აღნიშნულ პროცესს.

აღნიშნული შეთანხმების გაფორმება კიდევ უფრო ხელს შეუწყობს ჩეხეთის რესპუბლიკასთან მჭიდრო თანამშრომლობის გაღრმავებას და ამასთან მისი დადება მზიანშეწონილია საქართველოს საგარეო პოლიტიკური და ეკონომიკური პრიორიტეტების გათვალისწინებით.